ლალი აბდალაძე
ORCID 0000-0003-0675-3022
განათლების დოქტორი, ზსუ ასოცირებული პროფესორი

ქეთევან ლატარია
ORCID 0000-0002-7989-7273
გეოგრაფიის დოქტორი, ზსუ ასოცირებული პროფესორი

ირინე ინანეიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი

სამეგრელოს განვითარების კულტურულ-რელიგიური ასპექტები და კათოლიკე მისიონერების საგანმანათლებლო მოღვაწეობა

აბსტრაქტი

საქართველოში კათოლიკე მისიონერების საგანმანათლებლო მოღვაწეობა XVII-XIX საუკუნეების სამეგრელოში მნიშვნელოვანია რომის კათოლიკური ეკლესიისა და ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. დასავლეთ საქართველოს, სამეგრელოს, მულტირელიგიური მოსახლეობა ურთიერთობის საკმაოდ მაღალი კულტურით გამოირჩეოდა. განსაკუთრებულია მისიონერების, დონ კრისტოფორო კასტელის, დონ ანტონიო ჯარდინასა და სხვათა ღვაწლი. მათ შექმნეს სკოლები, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას ქართულად, იტალიურად და ქრისტიანულ მოძღვრებას. რომის ეკლესიის წარმომადგენლებმა სამეგრელოში ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს, მათ შემოიტანეს იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ცოდნა, სამკურნალო, სამეურნეო და საინჟინრო სიახლეები, ასწავლიდნენ უცხო ენებს. დიდია კათოლიკე მისიონერების წვლილი ქართული მეცნიერებისა, კულტურისა და განათლების სფეროში.

საკვანძო სიტყვები: *მისიონერები; კულტურული; სამეცნიერო; საგანმანათლებლო, რელიგიური ასპექტები.*

Lali Abdaladze
Doctor of Education, Associate Professor at ZSU

Ketevan Lataria
Doctor of Geography, Associate Professor at ZSU

Irine Inaneishvili
Doctor of Philology

CULTURAL AND RELIGIOUS DIMENSIONS OF SAMEGRELO'S DEVELOPMENT AND THE EDUCATIONAL ENDEAVORS OF CATHOLIC MISSIONARIES

ABSTRACT

In Georgia the educational work of Catholic missionaries in Samegrelo region from XVII to XIX centuries is important for the study of the history of the Roman Catholic Church and Georgian culture. The multi religious population of western Georgia, Samegrelo, was distinguished by a rather high culture of coexistence. The contributions of missionaries such as Don Cristoforo Castell, Don Antonio Jardina and others are especially noteworthy. They founded schools where reading and writing were taught in Georgian and Italian, along with Christian doctrine. Representatives of the Roman Church carried out fruitful activities in Samegrelo, they introduced the advanced knowledge of the world at that time, medical, agricultural and engineering innovations and taught foreign languages. The contribution of Catholic missionaries to Georgian science, culture and education is significant.

Keywords: missionaries, cultural, scientific, educational, religious aspects.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სამეგრელომ, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა კუთხემ, ჩამოაყალიბა მდიდარი კულტურულ-რელიგიური და საგანმანათლებლო ტრადიციები, რომლებმაც გავლენა იქონიეს მთელ ქართულ კულტურაზე. რეგიონი გამოირჩევა უნიკალური ენობრივი, არქიტექტურული და ფოლკლორული მრავალფეროვნებით, თავად მეგრული კი ერთ-ერთი უძველესი ქართველური ენაა და დღესაც აქტიურად გამოიყენება ყოველდღიურ ურთიერთობაში. მეცნიერული თვალსაზრისით, სამეგრელოს კულტურული მდგრადობა მჭიდ-

როდ არის გადაჯაჭვული მის ფოლკლორულ სამყაროსთან, რაც უძველესი დროიდან ახალ თაობამდე უწყვეტად გადმოეცემა.

ქრისტიანობა სამეგრელოში გავრცელდა ჯერ კიდევ IV საუკუნეში. ეს რეგიონი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო. სამეგრელოში მდებარეობს მრავალი ისტორიული და რელიგიური ტაძარი. მათგან მნიშვნელოვანია მარტვილის მონასტერი, რომელიც არა მხოლოდ რელიგიური, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო მთელი დასავლეთ საქართველოსთვის. და ცაიშის ტაძარი, როგორც საეკლესიო და საგანმანათლებლო ტრადიციების მნიშვნელოვანი ადგილი. რეგიონში მრავლადაა დაცული ძველი ციხე-დარბაზები და სასახლეები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუგდიდის დადიანების სასახლე, რომელიც XIX საუკუნეში წარმოადგენდა მეგრელი თავადების მმართველობის და კულტურული ცხოვრების ცენტრს.

სამეგრელოში განათლებას ტრადიციულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. შუა საუკუნეებში და შემდეგ, განსაკუთრებით XIX საუკუნეში, დადიანების მფარველობით განათლების დონე საგრძნობლად გაიზარდა. მნიშვნელოვან სასწავლო დაწესებულებებს წარმოადგენდა მარტვილის მონასტრის სკოლა – შუა საუკუნეების დროინდელი განათლების კერა და ზუგდიდის გიმნაზია – XIX საუკუნის საგანმანათლებლო ცენტრი. ცნობილია, რომ დადიანების ოჯახი განათლების მფარველობას მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ მიზნად მიიჩნევდა. მათ დააფუძნეს ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სამეცნიერო დაწესებულებები, რაც განსაზღვრავდა რეგიონის ინტელექტუალურ განვითარებას.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, სამეგრელომ დიდი როლი ითამაშა ქვეყნის რელიგიურ, საგანმანათლებლო და კულტურულ-სოციალურ პროცესებში და ამ მიზნით საქართველოში კათოლიკური მისიონერული მოძრაობის მხარდაჭერაში, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა XVI-XIX საუკუნეებში. საკუთრივ კათოლიკური ეკლესიის მისია, როგორც ცნობილია, XIII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს დაიწყო. მნიშვნელოვანია მათი ღვაწლი როგორც ევროპული ცივილიზაციის საქართველოში შემოტანის, ასევე ქართული კულტურის ევროპაში პოპულარიზაციის საქმეში. ამ გადასახედიდან, XVII-XIX საუკუნის სამეგრელოს ეპარქიაში მისიონერების საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საქართველოში კათოლიკე მისიონერებმა არა მხოლოდ რელიგიური, არამედ საგანმანათლებლო ფუნქციაც იტვირთეს, რაც ადგილობრივ მოსახლეობასთან მათ გაძლიერებულ კავშირს უზრუნველყოფდა. მათი მიზანი იყო ქრისტიანული მოძღვრების გავრცელება და განმტკიცება, განათლების განვითარება (განსაკუთრებით ევროპული მოდელით), ევროპის სახელმწიფოებთან კულტურული და პოლიტიკური კავშირების გაღრმავება. ამ მიზნით მისიონერებმა დააარსეს ეკლესია და სამლოცველოები, ჩამოაყალიბეს სასწავლო ცენტრები, გაავრცელეს ევროპული ტიპის განათლება, ეწეოდნენ სამედიცინო და ჰუმანიტარულ საქმიანობას. მათი საქმიანობის ძირითადი

ეტაპები წარმოდგენილი იყო: XIII-XIV საუკუნეებში – ფრანცისკანელი მისიონერებით, XVII-XVIII საუკუნეებში – იეზუიტებითა და კაპუცინებით და XIX საუკუნეში – ლაზარისტებით, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურები სწორედ სამეგრელოში იყვნენ, რასაც თავისი ობიექტური საფუძველი გააჩნდა.

დადიანთა სამთავროს ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა ევროპულ სახელმწიფოებთან და ამას თან სდევდა რელიგიური მფარველობაც. სამეგრელოში კათოლიკე მისიონერების გავლენა ყველაზე ნათლად გამოვლინდა დადიანთა სამთავროს ევროპულ მისწრაფებებში და განათლების სისტემის მოდერნიზებაში. ზუგდიდი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრალური ადგილი კათოლიკე მისიონერებისთვის. დადიანთა ოჯახი პერიოდულად მფარველობდა მისიონერთა საქმიანობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭირო იყო ევროპული მხარდაჭერა. ლაზარისტებმა დააარსეს საეკლესიო-სასწავლო ცენტრი, სადაც მოიხმარებოდა ფრანგული ენა.

კათოლიკე მისიონერებმა გააცნეს მოსახლეობას ევროპული კულტურა, შექმნეს მრავალენოვანი სასწავლო და სამკითხველო სივრცეები, მოიზიდეს ადგილობრივი ახალგაზრდები სწავლების სისტემაში, გაავრცელეს მედიცინა და ჰიგიენის ცოდნა. ისინი ეუფლებოდნენ ქართულ ენას და ხსნიდნენ თეოლოგიური ხასიათის სკოლებს, იტალიაში ბეჭდავდნენ და საქართველოში ავრცელებდნენ საჭირო ლიტერატურას, მათ შორის, სკოლებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელო წიგნებს. მისიონერებმა დიდი როლი შეასრულეს სხვადასხვა სფეროში, კერძოდ, ეკონომიკაში, მრეწველობაში, მედიცინაში, ფარმაკოლოგიაში, არქიტექტურაში, სამართალსა და გეოგრაფიაში ევროპის უახლესი მიღწევების შესახებ ქართველი საზოგადოების ინფორმირებაში და სასულიერო კადრების მომზადებაში, რამაც ხალხში მათი დიდი პოპულარობა განაპირობა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, ყოველივე ეს მიმზიდველი და მეტისმეტად საჭირო იყო ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მოსახლე და გარეშე მტრების თარეშისაგან მუდმივად შეწუხებული ქართველი ხალხისათვის". ადგილობრივ მთავართა და ქართველ სასულიერო პირთა, მათ შორის, კათალიკოსთა, მხარდაჭერა და თანადგომა ხელს უწყობდა მათ მისიონერული და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში.

ამავე დროს, მისიონერთა გავლენა არ ყოფილა ერთგვაროვანი – ხშირად ის ურთიერთდაპირისპირებაში მოდიოდა მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ადგილობრივ ტრადიციებთან. „მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკე მისიონერები სამეგრელოში განათლებას ავრცელებდნენ, მათი საქმიანობა ყოველთვის არ იყო ჰარმონიაში ადგილობრივ ორთოდოქსულ ტრადიციებთან, რაც ხშირ კონფლიქტსაც იწვევდა." (ჭანტურია 2010:89). „ბერნარდინელთა მისია სამეგრელოში გახდა ერთ-ერთი მძლავრი ცენტრი, საიდანაც მიმდინარეობდა როგორც სულიერი, ისე საგანმანათლებლო ინტერვენცია ადგილობრივ სივრცეში" (ხაჟალია 2015:135). ცნობილია, რომ „ბერნარდინთა ორდენი არა მხოლოდ სულიერ მისიონერულ საქმიანობას ეწეოდნენ, არამედ

სკოლების დაარსებასაც ცდილობდნენ, რათა ადგილობრივ მოსახლეობას ევროპული ტიპის განათლება მიეღო“ (შოშიაშვილი 2013:78).

მისიონერები მათ მიერ დაარსებულ სკოლებში სამეგრელოში ბავშვებს დაწყებით განათლებას აძლევდნენ, ასწავლიდნენ წერა-კითხვას, მშობლიურ ენას, გრამატიკას, თეოლოგიას, ხოლო „ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს რომის საეკლესიო კოლეგიის სასწავლებელში აგზავნიდნენ, სადაც ისინი თეოლოგიასთან ერთად ღრმად ეუფლებოდნენ ფილოსოფიურ მეცნიერებას და სპეციალური უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულნი, კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას ხელს უწყობდნენ“ (გამსახურდია 1975:115-117).

მისიონერები XVII საუკუნეში ვატიკანში შემუშავებული ინსტრუქციის მიხედვით ახორციელებდნენ თავიანთ მისიონერულ მოღვაწეობას, რომელიც სამეგრელოში მნიშვნელოვანი იყო „არამხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით, არამედ ენობრივი და კულტურული კოდის ცვლილების თვალსაზრისითაც – ლათინური ენა, იტალიური კულტურა და ევროპული განათლების ელემენტები აქტიურად ინერგებოდა“ (მარგველაშვილი 2008:102). საგულისხმოა, რომ მისიონერთა სკოლებში ასწავლიდნენ ასევე მუსიკას და მორალის საკითხებს და „პროგრამა ზოგჯერ აღემატებოდა ადგილობრივ სასულიერო სკოლებსაც“ (ოჩიაური 2005:56).

რომის პაპმა ამ პერიოდში საქართველოში წარმოგზავნა თეატინელთა ორდენის წარმომადგენლები: არქანჯელო ლამბერტი, ქრისტეფორო დე კასტელი, ავიტაბელე, ჯუდიჩე მილანელი და სხვ. მათი მისიის მიზანი რომის ეკლესიისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გაერთიანების საკითხი იყო. ცნობილია, რომ 1634 წელს პატრები – არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე სამეგრელოში, დადიანის კარზე გაემგზავრნენ. ისინი დასავლეთ საქართველოში პატივით მიიღეს. მისიონერი სასულიერო პირები და მათი თანმხლები ერისკაცები მუშაობდნენ ექიმებად, ინჟინრებად, ფინანსისტებად და ა.შ. თავიანთ მოღვაწეობაში ისინი დიდ ადგილს უთმობდნენ ქართულ სულიერ და მატერიალურ კულტურას.

როგორც გასული საუკუნის მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ზ. ჭიჭინაძე მიუთითებს, „ყოველი პატრი, ყოველი ძმობის წევრი მოწმე იყო საქართველოს მწარე ამბების და მასთანვე საუკეთესო მატიანე ჩვენის წარსულის. მათ გაავსეს ვატიკანი საქართველოს შესახებ ცნობებით. „XV საუკუნის შემდეგიდამ საქართველოს შინაგან ყოფა-ცხოვრების შესახებ იმდენს საჭირო ცნობებს თვით ქართველი მემატიანენი არ იძლევიან, რამდენსაც ლათინთ ბერები. ამისთვის საკმაოა დავასახელოთ სამეგრელოში ყოფილ და დიდხანს მცხოვრებ მისიონერ ლამბერტი, რომლის სიმპატიური შრომა სამეგრელოს შესახებ ქართულადაც დაიბეჭდა“ (ზ. ჭიჭინაძე).

ილია ტაბაღუა წერს, რომ მან ვატიკანის არქივში აღმოაჩინა ამ სკოლის სურათი, რომელიც დაბეჭდა გაზეთში „განათლება“ (1993 წ. 30 ივლისი: გვ.2). სურათზე გამოსახულია სკოლა, რომელშიც 20-მდე მოსწავლეა, ზის დონ ანტონიო ჯარდინა, ხოლო მარცხნივ დგას დონ კრისტოფორო კასტელი. სურათს ქვემოთ აქვს წარწერა

ლათინურ ენაზე: „ნეტარი მამა დონ ანტონიო ჯარდინა, ბერი. ყოველგვარი მოწყალებით ზომაზე უფრო მეტად დაჯილდოვებული, ძნელია თქვა, თუ რომელ მოწყალებაზე შეიძლება იგი უფრო შეაქო. ედავებოდა რა კოლხეთში მყოფ ბერძენ ბერებს ნათლობისას მათ მიერ გამოყენებულ წესებში, მან მრავალი კათოლიკობაში მოაქცია“.

მის გარდაცვალებას ასე აღწერს დონ არქანჯელო ლამბერტი: „შემოქმედელმა ეპისკოპოსმა, რომლის მფარველობის ქვეშ ჩვენი მამები გურიაში იმყოფებოდნენ, ზოგიერთი თავისი საქმეების მოსაგვარებლად ოდიშში წასვლა გადაწყვიტა. მამა დონ ანტონიო ჯარდინამ ისურვა მას გაჰყოლოდა და ენახა ჩვენი მხარე. (ე.ი. ოდიში). ეს იყო წელიწადის მეტად ცხელი დრო – ივლისის თვე. ეპისკოპოსს თავზე დასახურავი ქუდი არ ჰქონდა, გარდა პატარა ბერეტისა, რომლითაც ბერძენი ბერები სარგებლობდნენ. იგი მეტად შეაწუხა მზემ. ამას მიხვდა დონ ანტონიო, რომელიც ყოველგვარი წყალობით აღსავსე პიროვნება იყო, მოიხადა საკუთარი ქუდი და ეპისკოპოსს დაახურა, მაგრამ თვითონ მას მზემ დაჰკრა იმდენად, რომ ჩამოვიდა თუ არა ოდიშში, მაშინვე მეტად მაღალმა სიცხემ შეიპყრო. იგი პირდაპირ ჩვენს სახლში – წიფურიაში მოვიდა სამკურნალოდ, ჩვენ კი არ შეგვეძლო მისთვის აღმოგვეჩინა საჭირო მკურნალობა...“ მისი ავადმყოფობა ორმოცდაათი დღე გაგრძელდა. სიცოცხლის ბოლოს ზიარება მიიღო და გარდაიცვალა. დასაფლავებულია წიფურიაში. ამ ნიჭიერი ადამიანის დაკარგვით დიდი დანაკლისი განიცადა გურიის მისიამ. მისიონერთა მოღვაწეობა გაძნელდა გურიაში.

საინტერესოა, რომ რომის ეკლესიასთან გაერთიანების მომხრე იყო ქართველი კათალიკოსი მალაქია, რომელიც იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავარეპისკოპოსიც იყო (1635-1639). მისი გარდაცვალების შემდეგ ხალხმა მოითხოვა მისიონერთა გურიიდან განდევნა და სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა დონ ქრისტოფორო კასტელი სამეგრელოში გადაიყვანა. ამდენად, 1639 წელს თეატინელთა მისიონერობა გურიაში დასრულდა.

ისტორიულად დასტურდება, რომ 1628-1662 წლებში ჯერ ქართლის სამეფოში, შემდეგ გურიის და სამეგრელოს სამთავროებში 130-მდე მისიონერი მოღვაწეობდა. აქედან 30 სამეგრელოში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

მისიონერებმა სამეგრელოში ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს, მათ ოდიშში შემოიტანეს იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ცოდნა, სამკურნალო, სამეურნეო და საინჟინრო სიახლეები, ასწავლიდნენ უცხო ენებს. პატრი ძამპი თავის მოხსენებაში წერდა: „კოლხიდის მთავარმა ბევრი კეთილშობილი ყმაწვილი მიგვაბარა გასაწვრთნელად და სარწმუნოების პირველ დასაწყისის ცოდნის სასწავლელად.“ თავად ლევან დადიანი ხელს უწყობდა მისიონერთა საქმიანობას და მათი დახმარებით ცდილობდა რომის პაპთან ურთიერთობის დამყარებას. ცნობილი ფაქტია, რომ იგი მოინათლა კათოლიკედ და მიიღო პაპის ბულლა პროპაგანდის კოლეგიის დაარსების შესახებ. ამ ბულლათი პაპი მოუწოდებდა, გაეგზავნათ ბავშვები აღნიშნულ სკოლაში სასწავლებ-

ლად. თავისი პოლიტიკით ლევან დადიანი ხელს უწყობდა სამეგრელოს კულტურული დონის ამაღლებას და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას.

1844-1845 წლებში რუსეთის მთავრობამ კათოლიკე მისიონერები დასავლეთ ევროპის აგენტებად გამოაცხადა და ისინი ქვეყნიდან გააძევა. ამის გამო ქართველი კათოლიკეები იძულებული გახდნენ მოემზადებინათ ადგილობრივი სასულიერო კადრები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მღვდლების, პეტრე ხარისჭირაშვილის, ივანე გვარამაძისა და მიხეილ თამარაშვილის ღვაწლი, რაც მათ დასდეს ქართული კულტურისა და განათლების სფეროს.

კათოლიკე მისიონერების კულტურულ-საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ იმდენი მასალა არსებობს, რომ შესაძლებელია, ტომებიც დაიწეროს. ბევრი რამ ფართო საზოგადოებისთვისაც ცნობილია. კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლების დიდი ღვაწლის შედეგად შეიქმნა სამეცნიერო და კულტურული ღირებულების შრომები: პირველი ნაბეჭდი წიგნი ქართული ტექსტებით; ქართული ენის პირველი გრამატიკა (ფრანცისკო-მარია მაჯო, რომი, 1643; 1670); ქართული ზღაპრების პირველი კრებული (შედგენილი XVII ს-ის 70-იან წლებში პატრი ბერნარდო ნეაპოლელის მიერ) და სხვ. კათოლიკე მისიონერთა საგანმანათლებლო მოღვაწეობა XVII-XIX საუკუნეებში გურია-სამეგრელოში ფასდაუდებელია ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

გამსახურდია სვ., სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, „განათლება“, თბ., 1975.

მარგველაშვილი გ., სამეგრელო და დასავლური ქრისტიანობა, თბ., 2008.

ოჩიაური ი., ქრისტიანობა და განათლება საქართველოში (XVI–XIX სს.), ბათუმი.2005.

შოშიაშვილი ნ., კათოლიკე მისიონერები საქართველოში XVIII-XIX საუკუნეებში, თბ., 2013.

ჭიჭინაძე ზ., ქართველ კათოლიკეთ – სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები – მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი, თბ., 1991.

ჭანტურია მ., რელიგიური მრავალფეროვნება დასავლეთ საქართველოში, ზუგდიდი. 2010.

ხაჟალია ბ., სამეგრელოს კულტურა და რელიგია XVIII-XIX საუკუნეებში, ზუგდიდი.

გაზ. „განათლება“ (1993 წ. 30 ივლისი.) 2015.